საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარსაველიძე ამირან შალვას ძე

დარსაველიძე ამირან შალვას ძე (დ. 29. XII. 1932, ქუთაისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1957). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორის ასისტენტად. მეორე რეჟისორად იმუშავა ფილმებზე: „წუთისოფელი" (1971), „თეთრი ქვები" (1972), „მზე შემოდგომისა" (1973) და სხვ. რ. გაბრიაძესთან ერთად დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა ფილმებზე: „კავკასიური რომანსი" (1975), „ლიმონის ტორტი", „მწვერვალთა დამპყრობნი" (ორივე 1977). დამოუკიდებლად გადაიღო სატელევიზიო მხატვრული ფილმები: „სათადარიგო ბორბალი" (1978), „ყვითელი ჩიტი" (1983) და სხვ.

ა. გვენცაძე